პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 11 დეკემბერი, 1943 წ. № 255 (6880). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ კონევს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, განაგრძობდნენ რა შეტევის განვითარებას, 9 დეკემბერს სამი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქი ზნამენკა—მარჯვენა ნაპირის უკრაინის უმნიშვნელოვანესი რკინიგზის კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი კიროვოგრადის მიმართულებით.

ქალაქ ზნამენკის დაკავებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ჟადოვის, გენერალ-მაიორ როდიმცევის ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ როტმისტროვის ტანკისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბორიუნოვის მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ სმირნოვის კრემენჩუგის გვარდიის მე-6 საჰაერო-სადესანტო დივიზიამ, პოლკოვნიკ ოგბოროდოვის ალექსანდრიის გვარდიის 110-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ჟუკოვის კრემენჩუგ-ალექსანდრიის 214-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ვოდოკაიანოვის კრემენჩუგის 233-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ოლეინიკოვის პოლტავის გვარდიის 95-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ფირსოვიჩის მე-18 სატანკო კორპუსმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კირიჩენკოს 29-ე სატანკო კორპუსმა, პოლკოვნიკ ვიტებსკის 32-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ რეშეტნიკოვის 110-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ სიროშეპკინის 53-ე მოტო-მსროლელმა ბრიგადამ, პოლკოვნიკ ბალაშოვის მე-6 გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ ვლასენკოს პოლტავის 301-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ გოლდინის კრემენჩუგ-ალექსანდრიის გვარდიის 308-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, მაიორ პინჩუკოვის 256-ე ცალკე საინჟინრო ბატალიონმა, მაიორ ლუნევის 1446-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ ქუზნეცოვის 312-ე ღამის მსუბუქბომბდამშენმა საავიაციო დივიზიამ, ავიაციის გენერალ-მაიორ ბარანჩუკის 203-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ ინდაკინის 181-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ ზატილკინის 1438-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ სემიონოვის გვარდიის 76-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, კაპიტან სუხინინის 994-ე საავიაციო პოლკმა, მაიორ დმიტრიენკოს 108-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა და კაპიტან რიჟიკოვის 271-ე ნაღმტყორცნელმა პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ ზნამენკის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, მიენიჭოთ „ზნამენკის“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

კრემენჩუგ-ზნამენკის გვარდიის მე-6 საჰაერო-სადესანტო დივიზია,

კრემენჩუგ-ზნამენკის 233-ე მსროლელი დივიზია,

ზნამენკის მე-18 სატანკო კორპუსი,

ზნამენკის 29-ე სატანკო კორპუსი,

ზნამენკის 32-ე სატანკო ბრიგადა,

ზნამენკის 110-ე სატანკო ბრიგადა,

ზნამენკის 53-ე მოტო-მსროლელი ბრიგადა,

ზნამენკის მე-6 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადა,

ზნამენკის 256-ე ცალკე საინჟინრო ბატალიონი,

ზნამენკის 1446-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი,

ზნამენკის 312-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენი საავიაციო დივიზია,

ზნამენკის 203-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,

ზნამენკის 181-ე სატანკო ბრიგადა,

ზნამენკის 1438-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი,

ზნამენკის გვარდიის 76-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,

ზნამენკის 994-ე საავიაციო პოლკი,

ზნამენკის 108-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,

ზნამენკის 271-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,

კრემენჩუგ-ალექსანდრიის 214-ე მსროლელი დივიზია, კრემენჩუგ-ალექსანდრიის გვარდიის 308-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი, ალექსანდრიის გვარდიის 110-ე მსროლელი დივიზია, პოლტავის გვარდიის 95-ე მსროლელი დივიზია და პოლტავის 301-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი, რომლებმაც მეორეჯერ და მესამეჯერ გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, წარდგენილ იქნან წითელი დროშის ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 10 დეკემბერს, 18 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალვით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი ზნამენკა.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ ზნამენკის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 10 დეკემბერი.

სოჭსა და ღნეპრს შუა

გელორუსიის ფრონტი, 7 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ბელორუსიაში ზამთარი დადგა. წვიმიან დღეებს სიცივე მოჰყვა, მოვიდა დიდი თოვლი. უკვე გამოჩნდნენ 1943 წლის ზამთრის პირველი გერმანელი ტყვეები. ერთ-ერთი ტყვე თავის მომზრალ ხელებს გვიჩვენებს...

სიცივისა და თოვლის მიუხედავად, ბრძოლები არა სტხრება. თოვლით სავსე გზებით ფრონტისაკენ მიდიან ავტომანქანათა კოლონები. ჰაერში განუწყვეტლივ გუგუნებენ მოტორები. ერთი დღის განმავლობაში ჩვენმა მოიერიშეებმა და ბომბდამშენებმა მოსპეს გერმანელთა 20 საველე ქვემეხი, 9 საზენიტო ქვემეხი, 42 ავტომანქანა ტვირთიანად, რამდენიმე ნაღმსატყორცნი და მტრის დიდძალი ქვეითი ჯარი.

ლიერი ბრძოლა გაჩაღდა ერთი ტყიანი მაღლივის რაიონში. აქ, გზატეხილის მაგისტრალის მახლობლად, მტრის ძლიერ გამაგრებული პუნქტი მდებარეობს. ფლანგებიდან მას ფაფარავენ ტყეები, ზურგიდან კი — მაღლობი, რომელზეც გერმანელთა სათავალთვალო პუნქტები და არტილერიის საცეცხლე პოზიციებია.

ჩვენმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს ამ პუნქტის მისადგომებზე ფლანგიდან, დაიკავეს მოწინავე სანგრები და გადასჭრეს უამრავზა. მტერმა გარშემორტყმის შიშით დასავლეთისკენ დაიხია უკან. 6 ქვეგანაყოფმა ბრძოლით დაიკავა დიდი საბჭოთა მეურნეობა და საფრთხე შეუქმნა დასაყრდენ პუნქტს. გერმანელთა ბატალიონმა ბრძანება მიიღო, დაკარგული ზღუდეები დაიბრუნეო, სამჯერ მოიტანა კონტრიერიში ჩვენი ჯარების პოზიციებზე, მაგრამ მძიმე ზარალი მოუვიდა და უკან დაიხია.

სხვა უბანზე მტრის სატანკო ნაწილები ქვეითს ჯართან ერთად არაერთგზის გადმოდიოდნენ კონტრიერიშზე. ერთ-ერთ კონტრიერიშში მონაწილეობას იღებდნენ 12 ტანკი, თვითმავალი ქვემეხები და ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. მტერი ცდილობდა ფლანგიდან დაერტყა ჩვენი ნაწილისათვის, მაგრამ მას არტილერიისა და ქვეითი ჯარის ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ. კონტრიერიშები მოგერიებულ იქნა.

გერმანელებს განუწყვეტლივ მოჰყავთ მაშველი ძალები. ტყვედ წამოყვანილი ელზასელები ჩვენებას აძლევენ, რომ „სინი სულ რამდენიმე დღის წინათ მოიყვანეს ფრონტზე გერმანიიდან.

ი. დენისოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
10 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, 8 დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, 9 დეკემბერს დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ზნამენკა.

10 დეკემბრის განმავლობაში კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბრიგიტრიევკა, კლეშკოვო, ტოპილო, კოპანი, კუზეროვკა, ხიროვკა, კონსტანტინოვკა, ვლადიმირი, ვერშინა-კამენკა, პეტროვსკი, ჩეჩელევკა და რკინიგზის გადასასვლელები ხიროვკა, ჩაბანოვკა.

მალინის სახლრეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

9 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 122 ტანკი, მათ შორის 22 — ჩერნიახოვსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, 3 დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად, დაიკავეს ქალაქი და უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძი ზნამენკა. ჩვენმა ტანკისტებმა გასტეხეს გერმანელთა თავდაცვა ზნამენკის შორეულ მისადგომებზე, ზურგში შეეკრნენ მოწინააღმდეგეს და დადასტურეს გერმანელთა კომუნიკაციები. ამავე დროს საბჭოთა ჯარებმა მოწინააღმდეგეს გადამწყვეტი დარტყმა ოდემეს ფრონტიდან. გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. ქალაქის განაპირა უბნებში და ქუჩების გზაჯვარედინებზე მათ მიწაში ჩაფლეს ტანკები და, ეყრდნობოდნენ რა წინასწარ შექმნილ სიმაგრეებს, არაერთხელ გადმოდიოდნენ კონტრიერიშზე. საბჭოთა მებრძოლები, რომელნიც სძლევდნენ გერმანელთა ცეცხლის წინააღმდეგობას და იგერიებდნენ მათს კონტრიერიშებს, ქალაქში შეიჭრნენ და ზედიზედ ართმევდნენ მტერს ქუჩებს. გუშინ საღამოს ჩვენმა ჯარებმა საავსებით გასწმინდეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან რკინიგზის კვანძი და ქალაქი ზნამენკა. ზნამენკისათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა. არასრული ცნობებით, მარტო 9 დეკემბერს მოსპობილია 1.500-მდე ჰიტლერელი და გერმანელთა 23 ტანკი. ხელთ ვიგდეთ ბევრი ქვემეხი, საომარი მასალა და სხვადასხვა საშუალო ქონება. წამოყვანილია ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა სწრაფი დარტყმა აგემეს მოწინააღმდეგეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან განდევნეს იგი. ჩვენმა მებრძოლებმა წარმატება განავითარეს და დაიკავეს რკინიგზის სადგური ხიროვკა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გერმანელებმა, რომელნიც უწესრიგოდ იხევდნენ უკან ამ სადგურიდან, ცეცხლოის პოზიციებზე დასტოვეს 8 ქვემეხი და საომარი მასალის საწყობი. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე რამდენიმე ათეული ავტომანქანა ტვირთიანად. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ მალინის სამხრეთით ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. დღეს 6 შენაერთის პოზიციებზე იერიში მოიტანეს მტრის ქვეითი ჯარის დიდმა ძალებმა და 200-ზე მეტმა ტანკმა. საბჭოთა არტილერისტები კონცენტრირებული ცეცხლით შეხვდნენ მოწინააღმდეგს და დიდი ზარალი მიაყენეს მას. მაგრამ გერმანელთა ტანკების ერთმა ნაწილმა მოახერხა გამოჭრილიყო ჩვენს საბრძოლო წყებებში. საფარში მყოფმა საბჭოთა ტანკისტებმა მოსპეს მოწინააღმდეგის ტანკების ეს ჯგუფი. დღის განმავლობაში დამწვარი და დაზიანებული გერმანელთა 65 ტანკი. 14 თვითმავალი ქვემეხი და 40-მდე ჯავშანტრანსპორტიორი. გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის და ჯავშანმტერეველთა ცეცხლით დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 27 ტანკი.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო ფრონტის ხაზისაკენ მიმავალი გერმანელთა რამდენიმე სამედრო ეშელონი. მარცხის დროს დაიმსხვრა 90-მდე ვაგონი და პლატფორმა, გარდა ამისა, პარტიზანებმა გზატკეცილზე აფეთქეს 5 ავტომანქანა, ხიდი და დაანგრიეს კავშირგაბმულობის სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 113-ე ქვეითი დივიზიის 261-ე პოლკის მე-3 ასეულის ჯარისკაცმა, ეროვნებით პოლონელმა, ფრანც კამინსკიმ განაცხადა: „არმიაში გასული წლის დამლევს გამიწვიეს. ჯერ 217-ე პოლკში ვმსახურობდი ქალაქ ვილნოში, შემდეგ კი სათადარიგო პოლკში გამგზავნეს საფრანგეთში. ამ პოლკის ქვეგანაყოფებში ძალიან ბევრი პოლონელი იყო, მაგალითად 1-ლ ასეულში 70 პოლონელი ითვლებოდა და მხოლოდ 50 გერმანელი. აგვისტოში პოლკის სარდლობამ გერმანელთა დიდი ჯგუფი გამოპყო რუსეთში გასაგზავნად. ყველა პოლონელს ჩამოგვართვეს გერანული იარაღი, აგრეთვე საჭურველი და ფრონტზე მიმავალ გერმანელებს გადასცეს. ჩვენ ჩამორთმეულის მაგიერ მოგვცეს პოლონური და ფრანგული იარაღი და მეტად გაცვეთილი საჭურველი. სეტტემბერში სპეციალურ სამარშო ბატალიონში გამგზავნეს და მოვხვდი აღმოსავლეთის ფრონტზე 113-ე ქვეითს დივიზიაში. ეს დივიზია წინათ საფრანგეთში იყო და ამა წლის იანვარში რუსეთში გადმოიყვანეს. რამდენიმე თვის ბრძოლების განმავლობაში დივიზიას საშინელი ზარალი მოუვიდა. ფრონტზე ორ კვირას ვიყავი. ამ დღეების განმავლობაში ნახევარი ჩვენი ასეული მწყობრიდან გამოვიდა“.

* * *

კოვლის ოლქის სოფელ ლეტკის მცხოვრებლებმა შეადგინეს აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მხეცობის შესახებ. აქტში ნათქვამია: „გერმანელმა დამპყრობლებმა აიოხრეს ჩვენი სოფელი და დაბოცეს ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე. ჰიტლერელმა ჯალათებმა სასრჩობელა დასდგეს სოფლის ცენტრში და ჩამოახრჩეს სრულიად უდანაშაულო მცხოვრებლები ა. ზუბი, კ. ილიჩენკო, ფ. სლაპკა და სხვები. სოფლიდან უკანდახევისას გერმანელებმა ცეცხლწამკიდებელთა სპეციალური რაზმი დასტოვეს. ამ ფაშისტმა არამზადებმა დასწვეს 900-მდე საცხოვრებელი სახლი, ახალი სკოლა და სხვა საზოგადოებრივი შენობები“.

აქტს ხელს აწერენ სოფელ ლეტკის მცხოვრებნი: შევჩენკო, დრუზი, ნეტრაგა და სხვები.

მიმართვა
მიქოიანის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი კვების კომბინატის ჭოლექტივისა
საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი

ჩვენმა კოლექტივმა, სწერენ მიმართვის ავტორები, რომელიც არის ინიციატორი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა კვების მრეწველობის მუშაკთა შორის, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ამ პერიოდის განმავლობაში. ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, თვედადგი გადაჭარბებით ვასრულებდით რა სახელმწიფო გეგმას, ჩვენ ვადამდე, 4 ნოემბერს, დავამთავრეთ 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება.

ამანაგ სტალინის მოწოდების პასუხად ჩვენ შემდეგი ვალდებულებანი ვიკისრეთ:

1. გამოვუშვათ 1943 წლის გეგმის გადამტანი 18 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია.

2. გეგმასთან შედარებით 20 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება.

3. 2,9 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

4. დავზოგოთ 260 ტონა პირობითი სათბობი.

5. დავზოგოთ 65.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

6. დავზოგოთ დანაკარგის შემცირებით საკვებ კონცენტრატთა და რაციონთა 350 ტონა ყველა სახის ნედლეული.

7. ავითვისოთ ახალი ლითოგრაფიის საამქრო, გამოვუშვათ დეკემბერში 2 მილიონი მანეთის პროდუქცია.

8. მოვაწყოთ ცილოვანი პროდუქტების წარმოება მოსკოვის მოსახლეობისათვის.

9. შრომის ნაყოფიერების გადიდებითა და უკეთესი ორგანიზაციით გავათავისუფლოთ 150 მუშა მოქმედი საამქროებიდან იმ საამქროებისათვის, რომლებიც ახლად ეწყობა და ფართოვდება.

მოვუწოდებთ კვების მრეწველობის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მუშაობაში ახალ-ახალი წარმატების მისაღწევად.

მივცეთ ფრონტსა და მოსახლეობას კიდევ უფრო მეტი მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტები!

კანადაში სსრ კავშირის მისიისა და სსრ კავშირში კანადის მისიის საელჩოებად გარდაქმნისა და სსრ კავშირისა და კანადის დიპლომატიურ წარმომადგენელთათვის ელჩის რანგის მინიჭების შესახებ

იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც სწარმოებდა სსრ კავშირის მთავრობასა და კანადის მთავრობას შორის, მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც სსრ კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობა კანადის მთავრობასთან და კანადის დიპლომატიური წარმომადგენლობა სსრ კავშირის მთავრობასთან, ურთიერთობის საფუძველზე, მისიებიდან გარდაქმნილია საელჩოებად.

ორივე ქვეყნის დესპანებს ენიჭებათ ელჩის რანგი. (საკდესი).

1938 წლის სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხის 33-ე ჯირაჟი

10 დეკემბერს მოსკოვში კავშირთა სახლის ოქტომბრის დარბაზში შესდგა 1938 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 33-ე ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშებულ იქნა 11.503.200 მანეთის 17.040 მოგება.

25.000 მანეთიანი მოგება ხვდა № 27.657 სერიის № 10 ობლიგაციას, № 32.978 სერიის № 21 ობლიგაციას. № 45.137 სერიის № 35 ობლიგაციას და № 54.824 სერიის № 29 ობლიგაციას. (საკდესი).

გეგმის შესრულება

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა ბოსტნეულის თესლის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა 1 დეკემბრისათვის 110 პროცენტით შეასრულეს, ნაცვლად 3.000 კილოგრამისა ჩაბარებულია 3.301 კილოგრამი თესლი. თესლის ჩაბარება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი კაკაბაძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კალანდაძე

ახალი შრომითი საგმირო საქმეებით ვუპასუხოთ სამი მოკავშირე სახელმწიფოს ისტორიულ დეკლარაციას

სამი მოკავშირე სახელმწიფოს დეკლარაცია ფასიკვდილო განაჩენია ჰიტლერიზმისათვის

კალინინის სახელობის ქარხნის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებში ღრმა კმაყოფილება და ახალი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია საერთაშორისო ბრძოლიანობამ. ეს აღფრთოვანებულ და გაბედულ ბრძოლიანობას ეწევიან მოსკოლის ფაშისტური ლაბისმყოფარე ხალხებს.

ქარხნის კოლექტივი ინტერნაციონალურ—ბარატა ლ. ლარაპატინმა და ბერგვეზ ვ. პავლოვმა მიდიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა—სტალინის, რუზველტის, ჩერჩილის შეხვედრამ თეირანში. თეირანის კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილების გამო ქარხანაში მოწვეულ მიტინგზე, რომელიც გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ჯაფარიძემ სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის კოლექტივის მოწინავე ადამიანები.

ამხ. ს. სუკიასოვმა მიტინგზე განაცხადა, რომ სამი მოკავშირე სახელმწიფოს—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციები სასიკეთილო განაჩენია ჰიტლერული რეჟიმისათვის. ეს დეკლარაციი მოწმობს, რომ მოახლოებულია ჰიტლერული გერმანიის შეიარაღებული ძალების მოსპობის ჟამი. ეს აღფრთოვანებენ და გაბედულ ბრძოლიანობას ეწევიან მოსკოლის ფაშისტური ლაბისმყოფარე ხალხებს.

ქარხნის ოსტატი ლ. ლარაპატინი—ბარატა ლ. ლარაპატინმა ამ ბრძოლიანობას—ბარატა ლ. ლარაპატინმა ამ ბრძოლიანობას ავ. პავლოვმა მიდიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა—სტალინის, რუზველტის, ჩერჩილის შეხვედრამ თეირანში. თეირანის კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილების გამო ქარხანაში მოწვეულ მიტინგზე, რომელიც გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ჯაფარიძემ სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის კოლექტივის მოწინავე ადამიანები.

ამხ. ს. სუკიასოვმა მიტინგზე განაცხადა, რომ სამი მოკავშირე სახელმწიფოს—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციები სასიკეთილო განაჩენია ჰიტლერული რეჟიმისათვის. ეს დეკლარაციი მოწმობს, რომ მოახლოებულია ჰიტლერული გერმანიის შეიარაღებული ძალების

ერთსულოვანი მოწონება

ქასპი, 9 დეკემბერი. ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ქასპის ცემენტის ქარხნის ელექტრული. მიტინგზე გამოსულმა სტახანოველმა ამხ. ყაზარაშვილმა განაცხადა:

— ჩვენმა ქარხანამ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს გეგმის გადაჭარბებით მისცა 1.000-მდე ტონა ცემენტი. კონფერენციის გადაწყვეტილების პასუხად ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება. ვკისრულობ ვალდებულებას გამომუშავების ნორმების შესრულება 140-170 პროცენტიდან 200 პროცენტამდე გავადიდო.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს ცემენტის ქარხნის წარმოების მთელმა რიგმა სხვა მუშაკებმა. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

იუგოსლავიის ამბები

ლონდონი, 8 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ლონდონში შეიტყეს, რომ ამ დღეებში იუგოსლავიის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე შესდგა იუგოსლავიის ყველა რაიონის წარმომადგენელთა კრება; კრებაზე გადასწყდა შეიქმნას განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტი, რომელიც აღჭურვილია იუგოსლავიის დროებითი მთავრობის ყველა უფლებითა და ფუნქციით, აგრეთვე შეიქმნას დროებითი პარლამენტი. წარმომადგენელთა კრებამ პრინციპში მიიღო აგრეთვე იუგოსლავიის ფედერალური კონსტიტუცია. პარლამენტის თავმჯდომარედ და განთავისუფლებული ტერიტორიების მეთაურად არჩეულ იქნა დოქტორი ივანე რიბარი, რომელიც წარსული მსოფლიო ომის შემდეგ ბელგრადში შემდგარი იუგოსლავიის ნაციონალური კრების პირველი თავმჯდომარე იყო. არჩეულია აგრეთვე თავმჯდომარის სამი მოადგილე: მარშა პიადა—სერბი ეფრალისტი და მწერალი, ხორვატი მოქანდაკე ავგუსტინჩიჩი და სლოვენი იოსებ რუსი.

წარმომადგენელთა კრებამ მარშალის რანგი მიანიჭა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალს იოსებ ბროზს-ტიტოს. მარშალი იოსებ ბროზი-ტიტო დანიშნულია ნაციონალური თავდაცვის კომიტეტის მეთაურად. მის მოადგილეებად დანიშნენ ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკის“ ყოფილი დირექტორი ვლადო რიბნიკარი და ხორვატი ეფრალისტი, ხორვატთა გლეხური პარტიის წევრი ბოჟიდარ მაგოვაცი.

წარმომადგენელთა კრებამ აირჩია ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი იოსებ სმოდლაკა — ხორვატი დიპლომატი, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში იუგოსლავიის დესპანად იყო ვატიკანში; შინაგან საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი — ვლადო ზეჩევიჩი (სერბი); რეკონსტრუქციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი — რადო პრიბიჩევიჩი (სერბი დეპუტატი); სამთო მრეწველობისა და მეტყევეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი — სულეიმან ბილიპოვიჩი, ნეიჩის ყოფილი ოფიცერი. რომელიც რამდენიმე თვის წინათ გადავიდა პარტიზანების მხარეზე.

იუგოსლავიის ამბებმა ინგლისური პრესის ფართო გამოხმაურება გამოიწვია. გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ პარტიზანების გადაწყვეტილება მეტად საძნელო მდგომარეობაში ჩააყენებს იუგოსლავიის მთავრობას, რომელიც თითქმის მხოლოდდამხოლოდ იმ პირთაგან შესდგება, ვინც მეფე პეტრემ დანიშნა, ლონდონიდან კაიროში მთავრობის გამგზავრების წინ. პარტიზანები თავის გადაწყვეტილებაში არ აღნიშნავენ თავის პოზიციას მეფისადმი დამოკიდებულებაში. „ეს, — აცხადებს მიმომხილველი, — საძნელო მდგომარეობაში ჩააყენებს ინგლისის მთავრობას. დღემდე ინგლისი პეტრეს მთავრობას სცნობდა იუგოსლავიის კანონიერ მთავრობად. უკანასკნელ თვეებში ინგლისი ცდილობს დასმარება გაუწიოს როგორც ტიტოს პარტიზანებს, ისე მიხაილოვიჩის ჩეტნიკებსაც, და თანაბრად ამარაგებს მათ იარაღითა და საჭურველით... მაგრამ ცხადია, რომ მაშინ როდესაც პარტიზანულმა მოძრაობამ სწრაფად მიაღწია წარმატებებს პარტიზანულ ომში გერმანელების წინააღმდეგ და მოიპოვა მოსახლეობის მხარდაჭერა, მიხაილოვიჩის ძალები თითქმის აბსოლუტურ უმოქმედობას იჩენენ, და მის ყოფილ მომხრეთა მნიშვნელოვანმა რიცხვმა დასტოვა იგი. უკანასკნელი ცნობებით, პარტიზანთა მებრძოლი ძალები 200 ათასზე მეტს შეადგენენ, მაშინ როდესაც მიხაილოვიჩის განკარგულებაში 15 ათას კაცზე ნაკლებია“.

იმავე გაზეთის კაიროელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იუგოსლავიის პარტიზანთა გადწყვეტილებას — იკისრონ სრული პასუხისმგებლობა იუგოსლავიის საკანონმდებლო მართვა-გამგეობისათვის მოწონებით არ შეხვდნენ მეფე პეტრე და კაიროში მყოფი მისი მთავრობა, რომელმაც ტიტოს „ტერორისტული ძალადობის მოძრაობა“ უწოდა. ეხება რა პარტიზანთა პოლიტიკურ პროგრამას, კორესპონდენტი სწერს: „მისწრაფება—შეიქმნას ფედერატიული იუგოსლავია სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე — მკვეთრად ეწინააღმდეგება სერბთა ბატონობის ვიწრო პოლიტიკას, რომელსაც მიხაილოვიჩი განასახიერებს. არ შეიძლება სათანადოდ არ შევაფასოთ აგრეთვე ის, რომ პარტიზანები უარყოფენ დამოკიდებულებას იჩენენ მიხაილოვიჩისადმი, რომელსაც, როგორც ისინი ამტკიცებენ, კავშირი ჰქონდა იტალიელებთან, ამჟამად კი გერმანელებთან“.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ დიპლომატიური მიმომხილველი სწერს: „იუგოსლავიაში დროებითი მთავრობის შექმნა გავლენას არ ახდენს ინგლისის მხრივ კაიროში ოსებული იუგოსლავიის პერიჩის მთავრობის ცნობაზე. მაგრამ დახმარება წინანდებურად გაეწევა ყველა ორგანიზაციას, რომელიც კი წინააღმდეგობას ეწევა იუგოსლავიაში“.

ლორს განცხადება თემთა პალატაში იუგოსლავიის ამბებისადმი ინგლისის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ

ლონდონი, 10 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, რომ 9 დეკემბერს თემთა პალატაში განსაზღვრულ იქნა ინგლისის მთავრობის პოზიცია იუგოსლავიის ამბების მიმართ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ რიჩარდ ლოუმ, უპასუხა რა ლეიბორისტ ბენ რაილის შეკითხვაზე, განაცხადა, რომ მას ჯერ კიდევ არ შეუძლია სთქვას, თუ როგორი იქნება ტიტოს სარდლობაში მყოფ პარტიზანულ ძალთა და გენერალ მიხაილოვიჩის ძალთა დამ

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. რაიონული პარტაქტივების კრებები

ლენინის რაიონი

10 დეკემბერს პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა ლენინის რაიონის პარტიული აქტივის კრება. მოხსენებით პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე ამხანაგ სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის მოხსენებასთან დაკავშირებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ბაიდაშვილი. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა დიდი სტალინის მხედართმთავრობით წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებებზე, იმ ახალ შრომითს აღფრთოვანებაზე, რაც ბელადის ბრძნულმა მოხსენებამ და სამი მოკავშირე სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ა. შ. შტატების, ინგლისის ხელმძღვანელთა თეირანის ისტორიული კონფერენციის დეკლარაციამ გამოიწვია. მან აღნიშნა, რომ რაიონის ბევრი საწარმო სამამულო ომის პერიოდში წარმატებით მუშაობს. მოწინავე საწარმოთა რიცხვი ეკუთვნის № 7 სამკერვალო ფაბრიკა (დირექტორი უსტინოვა, პარტიბიუროს მდივანი კუზმინა), შამპანური ქარხანა (დირექტორი ეღენტი, პარტბიუროს მდივანი ენიკოლოპოვი). ეს საწარმოები ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს. რაიონში არის აგრეთვე სხვა მოწინავე საწარმოები. მაგალითად, კიროვის სახელობის ქარხანა, 26 კომისრის სახელობის ქარხანა, ელექტროტექნიკური ქარხანა და სხვ.

მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზა გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რაიონში ბევრია მოწინავე ადამიანები—სტახანოველები, რომლებიც საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, 26 კომისრის სახელობის ქარხნის ზეინკალი, კომუნისტი ქირია თუ წინათ საწარმოო გეგმებს 150 პროცენტით ასრულებდა, ახლა 400-450 პროცენტით ასრულებს. კიროვის სახელობის ქარხანაში კომუნისტ ბერკოვის ბრიგადა საწარმოო გეგმებს 850 პროცენტით ასრულებს, ავტოსარემონტო ქარხანაში ქალთა ბრიგადა, რომელსაც ჩერნოვა ხელმძღვანელობს, საწარმოო გეგმას 300-400 პროცენტით ასრულებს, მეოთხე საავგონო უბნის სადურგლო ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი კიტაშვილი ხელმძღვანელობს, ნოემბრის საწარმოო გეგმა 400 პროცენტით შეასრულა.

ამხ. ბაიდაშვილმა გააკრიტიკა ის საწარმოები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა ამხ. ნეფარიძე, რომელმაც ილაპარაკა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციის მუშაობაზე. № 7 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. კუზმინამ აქტივს მოუთხრო ფაბრიკაში პარტმასობრივი და საგიტაციო მუშაობის წარმატებაზე. ამხ. კუზმინამ აღნიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით წლიური საწარმოო გეგმა ფაბრიკამ 5 დეკემბრისათვის შეასრულა.

აქტივის კრებაზე კამათში გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ნ. ბ. ელენინი.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე ამხ. ტაბატაძე, ამხ. თუშიშვილი, მგელაძე და სხვ. კამათში გამოვიდა სულ 10 ამხანაგი.

აქტივის კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

რაიონული პარტიული აქტივის კრებამ მჭუხარე ოვაციით მიიღო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმების ტექსტი.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. იშხანოვი და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე ტრანსპორტის დარგში ამხ. მ. ჩუბინიძე.

სტალინის რაიონი

შესდგა თბილისის სტალინის რაიონის პარტიული აქტივის კრება. კრებამ მხურვალე ოვაციით, უდიდესი აღფრთოვანებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი.

აქტივის კრებამ მოისმინა პარტრაიკომის მდივნის ამხ. ვ. ლოლაძის მოხსენება რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტალინის რაიონს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, უდიდესი შრომიოი აღმავლობით, გმირი წითელი არმიისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებით უპასუხებენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებას, სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თეირანის ისტორიული კონფერენციის დადგენილებას, რაც გერმანიის ფაშიზმის სრული განადგურების ბტკიცე გარანტიას წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის კოლექტივმა ბრძენი ბელადის მოწოდების ჰასუხად ახალი ვალდებულებები იკისრა. ამ ვალდებულებებს იგი წარმატებით ასრულებს. ტბილისელ სახელობის ქარხნის ბრიგადამ ამხ. ჭიკინაძემ აიღო ვალდებულება ნორმა შეესრულებინა 650 პროცენტით, ნამდვილად კი 760 პროცენტით ასრულებს. კალინინის სახელობის ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ზეინკალთა ბრიგადამ ვალდებულებად აიღო თვიური გეგმის 300 პროცენტით შესრულება, თვის ბოლოს გეგმა შეასრულა 330 პროცენტით. ასეთი გმირული შრომის მაგალითები მრავალია.

კალინინის სახელობის ქარხანამ წლიური გეგმა 23 ნოემბრისათვის შეასრულა, სტალინგრადტრაქტორცემა ქარხანამ კი—3 დეკემბრისათვის. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისა და გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის კალინინის სახელობის ქარხანამ, მაუდ-კამოდოლის ფაბრიკამ, პურის ქარხანამ და სხვ. საკავშირო ჯილდოები და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

ამასთან მომხსენებელმა გააკრიტიკა ის საწარმოები, რომლებიც გეგმის შესრულებისათვის სათანადოდ ვერ იბრძვიან. თამბაქოს ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. როსტომაშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ბაბაევა) 11 თვის გეგმა მთლიანად ვერ შეასრულა. ფანერის ქარხანა ძირითადი პროდუქციის გამოშვების გეგმას ვერ ასრულებს.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო თერთმეტმა ამხანაგმა. ამხ. ლისენკომ ილაპარაკა იმ პატრიოტული ინიციატივის შესახებ, რომელიც პარტიის წევრმა მჭოველმა სორმასოვამ გამოიჩინა ფრონტისადმი მეტი პროდუქციის მიწოდების საქმეში, და აღნიშნა ზოგიერთი შეუსაბამობა, რასაც ხელფასის დარგში აქვს ადგილი.

ამხ. გოგოძემ აღნიშნა ნაკლოვანებები ტრამვაი-ტროლეიბუსებით თბილისის მშრომელთა მომსახურების დარგში. იგი შეეცადა სამმართველოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მთლიანად ობიექტური მიზეზებით ეხსნა. კრებაზე კი აღინიშნა, რომ ტრამვაისა და ტროლეიბუსების მიმდინარე რემონტი და შინარეესტრსების გამოყენების საქმე სათანადოთ არ არის დაყენებული.

ამხ. სუკიასოვმა აღნიშნა სტახანოველთა რიგების შეუჩერებელი ზრდა კალინინის სახელობის ქარხანაში და ილაპარაკა კომუნისტების ავანგარდულ როლზე წარმოებაში.

პარტაქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. გორდეზიანი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. წიკლაური. კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ჯაფარიძემ, რომელმაც აქტივის ყურადღება უმთავრესად მიაქცია პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა ბაბაევამ, არუთინოვმა, ეგიასშვილმა, სურიანაშვილმა და სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ჩიმახიძემ.

აქტივის კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ხალხთა დიდი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინისადმი.

მოსმენილი საკითხის გარშემო აქტივის კრებამ სათანადო რეზოლუცია მიიღო.

მოლოტოვის რაიონი

გუშინ, 10 დეკემბერს ჩატარდა თბილისის მოლოტოვის რაიონის პარტიული აქტივის კრება.

მოხსენებით — რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ამხანაგ სტალინის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავის გამო გაკეთებულ მოხსენებასთან დაკავშირებით — გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ლუარსაბოვი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი სტალინის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებასთან და ბრძანებასთან დაკავშირებით რაიონში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. რაიონის მშრომელები ახალი წარმატებებით უპასუხებენ თეირანის კონფერენციის დეკლარაციას, ყველაფერს აკეთებენ გერმანელი ფაშისტი ავაზაკების სრული განადგურებისათვის. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა 1943 წლის 11 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. დავალებათა შესრულებაში თავი ისახელეს შეჯიდიომა კომბინატმა, № 1 სამკერვალო ფაბრიკამ და სხვ. საუკეთესო წარმატებებს მიაღწიეს რაიონის სხვადასხვა არტელებმა. 11 თვის გეგმა მათ ვადამდე შეასრულეს 106.9 პროცენტით. მათ შორის წლიური საწარმოო გეგმები უკვე შესრულებული აქვთ: „მეტალისტს" (თავმჯდომარე ამხ. ჩიხლაძე), „შრომის გმირს" (თავმჯდომარე ამხ. ჭელიძე), „მშრომელთა კავშირს" (თავმჯდომარე ამხ. თედიაშვილი), „წითელ მკერავს" (თავმჯდომარე ამხ. მანდოიანი) და სხვ. მაგრამ ზოგან რაიონში არის ჩამორჩენაც. № 3 ფეხსაცმელების ფაბრიკაში პროდუქციის გამოშვების 11 თვის დავალება გაუნაღდებელია. ფაბრიკაში სუსტია დისციპლინა, კადრებისადმი დახმარება, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლა. ნედლეულისა და მოწყობილობის რაციონალურად გამოყენება. ჩამორჩენას ადგილი აქვს აგრეთვე ზოგიერთ არტელში („სარეწო კომბინატი", „რეკორდი", „ინგამარჯვება", „ბავშვთა სამყარო" და სხვ.).

ამხ. ლუარსაბოვმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება დიდი სტალინის მოხსენების გულდასმით შესწავლაზე, ბრძენი ბელადის მოხსენებიდან გამომდინარე ყველა ღონისძიების მაქსიმალური ნაყოფიერებით გატარებაზე. მან ილაპარაკა ტექნიკის დაუფლების, დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა და სტახანოველთა გამოცდილების დანერგვის, ადგილობრივი რესურსების მთლიანად გამოყენებისა და წლიური გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ.

ორჯონიკიძის რაიონი

10 დეკემბერს შესდგა ორჯონიკიძის რაიონის პარტიული აქტივის კრება. აქტივის კრება გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ჭაისურაძემ.

აქტივის კრებამ მხურვალე ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი.

მოხსენებით—რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ ამხანაგ სტალინის მოხსენებასთან დაკავშირებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. თ. ქვლიციძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბრძენი სტალინის ისტორიულ მოხსენებას, რომელიც ჩვენი ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად აღფრთოვანებით შეხვდნენ ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები. მუშები და სპეციალისტები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ დიდი სტალინის მოწოდებას. აბრეშუმის საქსოფ ფაბრიკაში 442 მუშა სტახანოველია. მოწინავე საწარმოთა რიგებშია სამშენებლო ქარხანა № 1, უნაგირების ქარხანა. გააუმჯობესა მუშაობა პოლიგრაფკომბინატმა „კომუნისტმა", კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვს ტრესტს საქართველოს სოფელეკტროს და სხვ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იქ. სადაც პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები არასაკმაო ყურადღებას უთმობენ შრომის ნაყოფიერების ხრდას, ახალ კადრებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მართალია უკანასკნელად ავეჯეულობის ფაბრიკამ ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის წუნი.

ამხ. თ. ქვლივიძემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა იმ დიდ, ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელსაც ეწევა ორჯონიკიძის რაიონის ინტელიგენცია. 1942-43 სასწავლო წელს რაიონის უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 1.269 პედაგოგი, ექიმი, აგრონომი. ზოოტექნიკოსი და სხვ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, პარტიული ორგანიზაცია იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ სწავლების ხარისხი და ჩვენს ქვეყანას მისცენ მაღალხარისხოვანი კვალიფიციური კადრები. მომხსენებელმა ილაპარაკა ლ. პ. ბერიის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის, მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ნაყოფიერ მუშაობაზე ფრონტის დასახმარებლად. მომხსენებელმა აქტივის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სასახელოდ შეასრულოთ ამხანაგ სტალინის საბრძოლო მოწოდება და მით დავეხმაროთ გმირ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურების დაჩქარებაში.

მოსმენილი მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ალ. ჯანელიძემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ აღფრთოვანა ინტელიგენცია ახალი შრომითი მამაცობისათვის ამხანაგ სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ. უნივერსიტეტის მეცნიერულმა ძალებმა თავიანთი სამეცნიერო მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირეს ფრონტის ინტერესებს. ახლი ჩვენი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ სწავლების ხარისხი, მივცეთ სახელმწიფოს მაღალხარისხოვანი კადრები და ამავე დროს ვიზრუნოთ მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადებაზე. ინსტიტუტის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ამ საბრძოლო დავალებას წარმატებით შეასრულებენ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. სილაძემ, კინწურაშვილმა, ფომინმა, პ. თავნელიძემ, დგებუაძემ, შ. წივწივაძემ, ი. კაკაბავამ, თევოსიანმა, გიორგაძემ, ჯიმშელეიშვილმა.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. გ. ფოქიკაშვილი, რომელმაც აქტივის ყურადღება გაამახვილა საგიტაციო მუშაობის შემდგომ გაძლიერებასა, შრომის ნაყოფიერების, ზრდასა და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

მოსმენილი მოხსენების გარშემო აქტივმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია.

აქტივის კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ხალხთა საყვარელი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინისადმი.

ბერიას რაიონი

გუშინ ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის ბერიას რაიონის პარტიული აქტივის კრება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ ამხანაგ სტალინის მოხსენებასთან დაკავშირებით რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენებით რამდენჯერმე მიაგლინა ფრონტზე ჩვენი ბრძოლებისათვის კულტურული მომსახურების გაწევის მიზნით. სამამულო ომის დღეებში საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებული მასხიოობები ბოდროვი, ვერულეკვესკაია, შელეხოვი და სხვები ნაყოფიერ სააგიტაციო მუშაობას აწარმოებენ დიასახლისებში. ამხ. მდინარაძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც ჩაატარა ბერიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭომ ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების ხაზით.

აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ აქტივის კრებას გააცნო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობა სამამულო ომის დღეებში და მისი მომავალი გეგმები, რომლებიც გამომდინარეობენ დიდი სტალინის ისტორიული მოხსენებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ. ამხ. ს. ჯანაშიამ კრების მონაწილეებს წაუკითხა ერთ-ერთი ცნობილი ინგლისელი მეცნიერის წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ სამამულო ომის დღეებში გამოცემული შრომების შესახებ. ეს მეცნიერი ულაცავს ჩვენს ხალხს გერმანელ ფაშისტთა სასტიკ დამარცხებას 1942 წელს კავკასიონზე ბეესთან.

ლენინგრადის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დოცენტმა შმაკოვმა ილაპარაკა ინსტიტუტის მიერ ჩატარებული თავდაცვითი მნიშვნელობის მეცნიერულ მუშაობაზე.

აქტივის კრებამ მოსმენილი საკითხის ირგვლივ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მჭუხარე ტაშით კრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს.

კიროვის რაიონი

გუშინ ჩატარდა კიროვის რაიონის პარტაქტივის კრება.

1943 წლის 6 ნოემბერს ამხანაგ სტალინის მიერ გაკეთებულ ისტორიულ მოხსენებასთან დაკავშირებით კიროვის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. კ. ხოშტარია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით წითელი არმიის ახალ-ახალი გამარჯვებები აღფრთოვანებენ მშრომელებს და ისინი ოვალსაჩინო საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ ფრონტის დასახმარებლად. დიდი სტალინის გენიალური მოხსენებისა და ბრძანების პასუხად რაიონში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. 1943 წლის დავალება მთელმა რიგმა საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს. ასეთია, მაგალითად, მე-6 სამკერვალო ფაბრიკა (დირექტორი ს. ვაშაძე). 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ამხანაგ სტალინის მიერ გაკეთებული მოხსენების პასუხად ფაბრიკამ ახალი ვალდებულება აიღო—მე-4 კვარტალის გეგმა 5 დეკემბრისათვის შეესრულებინა. აღებული ვალდებულება სრულათლად იქნა შესრულებული, რისთვისაც ფაბრიკამ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. გეგმის ზევით ქვეყანას მისცეს 425 ათასი მანეთის პროდუქცია. აღებული ვალდებულებები ასევე პირნათლად შეასრულეს თბილისის მე-2 სამკერვალო ფაბრიკამ, საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკამ" და სხვ. კარგ მაჩვენებლებს იძლევიან სარეწაო საბჭოში შემავალი არტელები. მიმდინარე წლის დავალება მათ 1 დეკემბრისათვის 104,7 პროცენტით შეასრულეს.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან არადამაკმაყოფილებელ მომუშავე საწარმოები. თბილისის 1-ლი და მე-2 ტყავის ქარხანა, ფეხსაცმლის 1-ლი და მე-2, საქტრიკოტაჟის, ბამბის, ბამბის ძაფსართავი ფაბრიკები ვერ ახერხებენ ნორმების ამაღლებას. ეს ეხება ასევე ბამბეულის ფაბრიკასაც. ეს ეხება ასევე ბამბეულის ფაბრიკასაც. ეს ეხება ასევე ბამბეულის ფაბრიკასაც